

შპს „გიო ფუდი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა
4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
5. ამონაგების აღიარება
6. ხარჯის აღიარება
7. ძირითადი საშუალებები
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
9. ფინანსური ანგარიშგება
10. რისკები

შპს გიო ფუდი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გიო ფუდის“ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, საქმიანობის შედეგებს. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.


ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებაზე
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და ადასტურებს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

დირექტორი:



/გიორგი თოხაძე/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ღ რ ი	31.12.2023	31.12.2022
აქტვები		
მოღვადანი აქტვები ფულ	98 436	46 918
დ ფულ დ ექვივალენტები		
სავაჭროსხვა მოთხოვნები	1 662 705	2 038 559
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1 749 898	892 824
სხვა პირზე ავანსა დგადხდელ თანხები	953 882	1 537 565
მოღვადანი აქტვი	181 575	83 134
გრძელადანი აქტვები		
ძირითად საშვალბები	53 199	66 499
სულაქტვები	4 699 695	4 665 499
საკუთარი ვალბულები დ კაპიტალ		
სავაჭრო ვალბულები	107 774	454 955
გრძელადანი სასესხო ვალბულება	700 800	1 000 000
სულ ვალბულება	808 574	1 454 955
სულაპიტალ		
გაუნაწილებელ მოგება	3 981 121	3 210 544
სულ ვალბულება დ კაპიტალ	4 699 695	4 665 499




დირექტორი:

/გ.თხაძე/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

ღარი	31.12.2023	31.12.2022
აქტუვები		
საქმიანობის შედეგები		
ამონაგები	14 349 497	12 542 931
რიალზეზულ საქონლს თვითღირებულება	(14 349 497)	(10 915 623)
საერთომოგება	1 601 538	1 627 308
დსაქმებულთ ანაზღაურება	(220 118)	(225 175)
ცვეთ	(13 299)	(10 972)
იჯრის ხარჯი	(181 245)	(127 915)
სხვა ხარჯი	(206 299)	(217 946)
საანგარიშგებოპერიოდს წმინდ მოგება	980 577	1 045 300
კაპიტალ საანგარიშგებოპერიოდს დასაწყისისათვის	3 210 544	2 280 244
გაცემულ დვიდუნდ	(300 000)	(115 000)
სულკაპიტალ საანგარიშგებოპერიოდს ბოლს	3 891 121	3 210 544



დირექტორი:

/გ.თხაძე/

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობა გიო ფუდი (შემდგომში კომპანია) დარეგისტრირდა 2011 წელს კანონის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი სოფ. დილომი და საქმიანობის ადგილი არის ქ. თბილისი სამგორის ქ.9. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გაყინული პროდუქციით საბითუმო ვაჭრობა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გიო ფუდი დაფუძნებულია 1 ფიზიკური პირის მიერ

გიორგი თოხაძე - წილის 100%

ფინანსური ანგარიშგების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც მოცემულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი


ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. საწარმოს საანგარიშებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემი ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

დირექტორი:



გიორგი თოხაძე/



7 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საზოგადოება ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ დანახარჯებთან დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ასევე უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.

საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც დანახარჯები იყო გაწეული.


8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

დირექტორი:



გიორგი თოხაძე/

9 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

11 კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისთვის მოგების მიცემა.

12 დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებს და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება მათი გამოცხადების პერიოდში.

დირექტორი:



/გიორგი თოხაძე/

24 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.


საოპერაციო გარემო და რისკები

საქართველო განთავსებულია რთულ რეგიონში, სადაც ბოლო წლებში ერთმანეთს დაპირისპირებულია მსოფლიოს უდიდეს ქვეყანათა გეოპოლიტიკური ინტერესები. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად მისი ვალუტა არ არის ბოლომდე თავისუფლად კონვერტირებადი. საქართველოს საგადასახადო საბაჟო და სააღრიცხვო კანონმდებლობა ასევე ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას და განიცდის ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულება საგადასახადო სამართლებრივ მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად ძლიერ არის დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებათა ეფექტურობაზე. შესაბამისად, საზოგადოება და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ექვემდებარება ფინანსურ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის მთავარი მიზანია დააწესოს რისკის საზღვრები და შემდეგ უზრუნველყოს, რომ რისკის გავლენა მოექცეს ამ საზღვრებში. ოპერაციული და საკანონმდებლო რისკების მართვა გამიზნულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შიდაპოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება ოპერაციული და საკანონმდებლო რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად.

დირექტორი:



/გიორგი თოხაძე/

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმომ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის მართვის იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულებების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით როდესაც დგება გადახდის მომენტი.

საზოგადოების აუდიტორიული ფინანსური ანგარიშგებით (ფულადი სახსრების და ეკვივალენტების ნაშთის სტაბილური ზრდა და მიმდინარე ვალდებულებების არაარსებითი ნაშთები) ნათლად ჩანს, რომ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები საანგარიშგებო პერიოდში ფაქტიურად არ გააჩნია

დირექტორი:



/გიორგი თოხაძე/